ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ისტორია

III ტური

X-XII კლასები

2020-2021 სასწავლო წელი

<u>ინსტრუქცია 1-2 დავალებებისათვის:</u> ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

(4) 1. შეუსაბამეთ მემატიანე იმ მონარქს, რომლის მოღვაწეობაც მან აღწერა:

A.	ისქანდერ მუნში	1	სულეიმან კანუნი
B.	ეინჰარდი	2	ლუი IX წმინდანი
C.	პროკოპი კესარიელი	3	კარლოს დიდი
D.	ჯუვეინი	4.	ჯალალ-ედ-დინი
		5	იუსტინიანე დიდი
		6	აბას I

(4) 2. შეუსაბამეთ ციხე-სიმაგრე იმ სახელმწიფოს, რომელშიც ის დღეს მდებარეობს:

A		1	ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა

B		2	ისრაელის სახელმწიფო
C		3	სირიის არაბთა რესპუბლიკა
D		4	საქართველო

		5	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
		6	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

<u>ინსტრუქცია 3 დავალებისათვის:</u> ყურადღებით გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა - 6.

(6) 3. უპასუხეთ კითხვებს ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

კითხვები:

(2) 3.1.რა ეწოდებათ ილუსტრაციაზე ასახულ მებრძოლებს და რას უკავშირდება ეს სახელწოდება?

(1) 3.2. რას აღნიშნავდა ილუსტრაციაზე ასახული მაყურებელთა ჟესტი?

(1) 3.3. დაასახელეთ რომელ სახელმწიფოში იმართებოდა ილუსტრაციაზე ასახული ბრძოლები?

(2) 3.4. დაასახელეთ რომელმა კონკრეტულმა ისტორიულმა მოვლენამ განაპირობა ილუსტრაციაზე ასახული ბრძოლების აკრძალვა და რატომ?

<u>ინსტრუქცია 4 დავალებისათვის:</u> თქვენს წინაშეა ტექსტი, რომელშიც ერთ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე - ინვესტიტურისთვის ბრძოლა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში - ორი განსხვავებული პოზიციაა წარმოდგენილი.
ყურადღებით გაეცანით ტექსტს, ხოლო შემდეგ ჩამოაყალიბეთ არგუმენტირებული ესე ტექსტში წარმოდგენილ თემაზე.
გაითვალისწინეთ, ესეში აუცილებლად უნდა აისახოს:

1. რას წარმოადგენდა ინვესტიტურა და რატომ იბრძოდნენ ამ უფლებისთვის;
2. არგუმენტები ორივე პოზიციის სასარგებლოდ (გამოიყენეთ საკუთარი ცოდნა და მოტანილი ტექსტები);
3. პირადად თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე;
4. ინვესტიტურისათვის ბრძოლის მნიშვნელობის შეფასება.

- ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული.

- გაითვალისწინეთ: ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა არ აღემატება 120 სიტყვას.

- ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული დავალება მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

- დავალების მაქსიმალური შეფასებაა 11 ქულა.

ინვესტიტურისათვის ბრძოლა შუა საუკუნეების ევროპაში

XI-XII საუკუნეებში შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ინვესტიტურისათვის ბრძოლა დაიწყო.

გაეცანით როგორც საღვთო რომის იმპერატორის ჰაინრიხ IV-ის, ისე რომის პაპის გრიგოლ VII-ის შეხედულებებს ამ საკითხზე.

➢ რომის პაპის პოზიცია 1075 წლის ლატერანის საეკლესიო კრებაზე

„თუ ვინმე საერო პირისგან მიიღებს ეპისკოპოსის ან აბატის ღირსებას, იგი არავითარ შემთხვევაში არ იქნება აღიარებული ეპისკოპოსად და მას არ გადაეცემა ეპისკოპოსის ან

აბატის ღირსება. გარდა ამისა, ჩვენ მას ჩამოვართმევთ წმინდა პეტრეს წყალობას, ეკლესიაში შესვლას ავუკრძალავთ მანამ, სანამ ის უარს არ იტყვის უკანონოდ მიღებულ ღირსებაზე, რომელიც პატივმოყვარეობით, დაუმორჩილებლობით და ცოდვილი გზით მიიღო. თუ რომელიმე იმპერატორი, მეფე, დიდებული ან ნებისმიერი საერო ხელისუფლების წარმომადგენელი გაბედავს ეპისკოპოსის დანიშვნას, იგი ვერ გაექცევა შესაბამის სასჯელს.“

- იმპერატორ ჰაინრიხ IV-ის პოზიცია

საღვთო რომის იმპერატორ ჰაინრიხ IV-თვის რომის პაპის გადაწყვეტილება საერო პირების მხრიდან საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნების აკრძალვას თაობაზე სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. იმპერატორმა მკვეთრად გაილაშქრა პაპის წინაამდეგ. ჰაინრიხი იტალიასა და გერმანიაში თავად ახორციელებდა საერო ინვესტიტურას. 1076 წელს ვორმსში იმპერატორი და მისი მხარდამჭერი ეპისკოპოსები საიმპერატორო თათბირზე შეიკრიბნენ, სადაც იმპერატორის მომხრე გერმანელმა ეპისკოპოსებმა უარი თქვეს პაპის ერთგულებაზე ფიცის დადებაზე. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირება საერო და სასულიერო ხელისუფლებებს შორის, რომლის მიზეზიც ინვესტიტურისათვის ბრძოლა აღმოჩნდა.